საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-246

29/03/2022

ქ. თბილისი

ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. პატარა ფოთში შპს „ეკო გრინ სფეისის“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-16 პუნქტის და ამავე კოდექსის II დანართის 10.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. პატარა ფოთში შპს „ეკო გრინ სფეისის“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N12 (16.03.2022);
2. შპს „ეკო გრინ სფეისი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №12 (16.03.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეკო გრინ სფეისს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეკო გრინ სფეის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი